

USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

„ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტებისათვის“ სასწავლო მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX – XII კლასებისათვის

ავტორები:
ნინო ბესელია
ნათია ნაცვლიშვილი

დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

© Project Harmony, Inc., 2015
ყველა უფლება დაცულია

ISBN .....

სასწავლო მასალა მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

„ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტებისათვის“

წინამდებარე მასალა ხელს შეუწყობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე შექმნან საკლასო პროექტები.

ბარათებში მოცემული თეორიული რეკომენდაციები და პრაქტიკული ინფორმაცია თითოეულ თქვენგანს დაეხმარება, რომ კლასელებთან ერთად შეძლოთ თქვენ ირგვლივ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება; მომზადების ეტაპზე გააკეთოთ საჭიროებათა ანალიზი; დაგეგმოთ აქტივობები; გადაინაწილოთ საქმიანობები; გაიაზროთ, პროექტზე მუშაობისას რა გააკეთეთ და როგორ; გამართოთ პრეზენტაცია და შეაფასოთ ჩატარებული სამუშაო.

სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე განხორციელებული საკლასო პროექტები ყველა მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს პროექტულ სწავლებაში, რის შედეგადაც ისინი მიიღებენ ცოდნას გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით და განუვითარდებათ აქტიური მოქალაქისათვის საჭირო ღირებულებები და უნარ-ჩვევები: თანამშრომლობა, ემპათია, ზრუნვა, მონაწილეობა, მოხალისეობა, პასუხისმგებლობა და სხვ.

მასალა შედგება 10 ბარათისაგან, რომელშიც მოცემულია საკლასო პროექტების შექმნის ინსტრუქციები, მისი მომზადებიდან შეფასებამდე.

სარჩევი

„ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტებისათვის“

ბარათი 1 - რა არის პროექტი

ბარათი 2 - საკლასო პროექტის საფეხურები

ბარათი 3 - მომზადება - ინფორმაციის მოძიება

ბარათი 4 - მომზადება - პროექტის დაგეგმვა

ბარათი 5 - მომზადება – როლების გადანაწილება

ბარათი 6 - განხორციელება - ქმედება/აქტივობები

ბარათი 7 - პროექტის შედეგების რეფლექსია/გააზრება – ინფორმაციის მოგროვება

ბარათი 8 - პროექტის შედეგების რეფლექსია/გააზრება – ინფორმაციის გაანალიზება

ბარათი 9 - დემონსტრირება/წარდგენა

ბარათი 10 - შეფასება

გამოყენებული ლიტერატურა

ამრიგად, საკლასო პროექტი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება შემდეგი უნარ-ჩვევები:

- კვლევითი
- შემოქმედებითი
- თანამშრომლობის
- მართვის
- საკომუნიკაციო

პროექტი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალებაა.

საკლასო პროექტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მისაღწევი შედეგის/შედეგების სირთულესა და იმაზე, თუ რამდენი დრო სჭირდება მათ მიღწევას.

შემდეგ ბარათებში გაეცნობით, თუ როგორ უნდა შექმნათ საკლასო პროექტები სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე.

დავალება - დაწყვილდით, დაფიქრდით და ერთმანეთს გაუზიარეთ თქვენ გარშემო არსებული პრობლემები.

პრაქტიკული მაგალითი:

სოფელ ვარხანის სკოლის X კლასის მოსწავლეები, სათემო პრობლემების ადვოკატირების მიზნით, შეხვდნენ სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულს. აღნიშნულ შეხვედრამდე მოსწავლეებმა ჩაატარეს მოსახლეობის გამოკითხვა სოფლის პრობლემების შესახებ, ხოლო შეხვედრაზე კი განიხილეს ის პრობლემები, რომლებიც გამოკითხვისას გამოიკვეთა. გამოკითხული ადგილობრივი 100 ოჯახიდან უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა სოფელში სასმელი წყლისა და ამორტიზებული შიდა გზების პრობლემების მოგვარებას. გადაწყდა, რომ მოსწავლეების მიერ მომზადებული წერილის საფუძველზე, ადიგენის თვითმმართველობა მომდევნო წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო თანხებს გაითვალისწინებს.

(წარმატებული განხორციელებული პროექტების მაგალითები იხილეთ ვებგვერდზე - civics.ge).

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE



1

რა არის პროექტი

- ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
- ინფორმაცია სასწავლო საკლასო პროექტებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ
- სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტის მიზანი
- საკლასო პროექტის საფეხურები
- პრაქტიკული მაგალითი

პროექტი

პროექტი ლათინური სიტყვაა, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: წინ გადაგდება, ნაგებობის შესაქმნელად შემუშავებული გეგმა, რაიმე დოკუმენტის წინასწარ დაგეგმვა.

ტერმინი **პროექტი** გვხვდება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, ბიზნესსა და ხელოვნებაში. პროექტს ხშირად უნოდებენ სპორტულ ღონისძიებებს, შოუპროგრამებს, საქველმოქმედო აქციებს და სხვ.

ზოგადად, პროექტი არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული საქმიანობა, წინასწარ დაგეგმილი შედეგის მისაღწევად.

ამ ბარათში მოგაწვდით ინფორმაციას, თუ რა არის სასწავლო პროექტი და რა მნიშვნელობა აქვს მას. ასევე, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ საკლასო პროექტებზე სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე.

განვმარტოთ, თუ რა არის სასწავლო პროექტი:

სასწავლო პროექტი არის საერთო ინტერესების მქონე მოსწავლეების ერთობლივი სასწავლო-შემეცნებითი, შემოქმედებითი, შეთანხმებული ქმედება, რომელიც მიმართულია მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაზე. მოსწავლეები წინასწარ ისახავენ საერთო მიზანს და განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს.

სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე შესაძლებელია განახორციელოთ - **პრაქტიკული, კვლევითი, საინფორმაციო, პრობლემის ადვოკატირებაზე** მიმართული პროექტები.

საკლასო პროექტის საშუალებით, თქვენ შეძლებთ, აქტიურად, მოხალისეობრივ საწყისებზე ჩაერთოთ, მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივ საქმიანობებში. შეარჩიოთ თქვენთვის საინტერესო პრობლემები რეალური ცხოვრებიდან. გამოიჩინოთ ინიციატივა. დასახული მიზნის მისაღწევად ითანამშრომლოთ ერთმანეთთან, გადასაჭრელი პრობლემით დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

პროექტზე მუშაობის პროცესში, თქვენ დამოუკიდებლად მიიღებთ ცოდნას გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით, გამოგიმუშავდებათ კომუნიკაციის, თანამშრომლობის, პრობლემის იდენტიფიცირების, პრობლემის გადაჭრის ალტერნატული გზების ძიების, არჩევანის გაკეთების, ემპათიის, ადვოკატირების, ინფორმაციის ანალიზის, ინფორმაციის შეფასების, მიმდინარე მოვლენებისა და საკითხის შესწავლის, პასუხისმგებლობის, ლიდერობის, ეფექტური და რაციონალური არგუმენტების მოყვანის და სხვ. უნარ-ჩვევები.

ირწმუნებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ, განახორციელოთ პოზიტიური ცვლილებები, სარგებელი მოუტანოთ საზოგადოებას. აკონტროლოთ ხელისუფლება და ანგარიშვალდებული გახადოთ იგი მოქალაქეების წინაშე.

რა როლს ასრულებს მასწავლებელი ამ პროცესში?

მასწავლებელი პროექტული სწავლა-სწავლების პროცესში ასრულებს კოორდინატორის, ექსპერტის, კონსულტანტის როლს.

საკლასო პროექტი შემდეგი საფეხურებისგან შედგება:

1. გამოკვლევა - საჭიროებათა ანალიზი;
2. მომზადება;
3. ქმედება/განხორციელება;
4. რეფლექსია;
5. დემონსტრირება;
6. შეფასება.

საკლასო პროექტს მთელი კლასი ახორციელებს. მთელი კლასი ირჩევს ერთ პრობლემას და მუშაობს მის გადაჭრაზე (შესაძლებელია, რამდენიმე ჯგუფი შეიქმნას, რომელიც გადაინაწილებს შესასრულებელ ღონისძიებებს).

ჯგუფური მუშაობის დროს ხდება ფუნქციების გადანაწილება ჯგუფის წევრების შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. გაითვალისწინეთ, რომ ჯგუფურ მუშაობას გარკვეული პრობლემებიც ახლავს, მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლე არ აქტიურობს და ცდილობს, ინიციატივიანი მოსწავლის ხარჯზე „გავიდეს ფონს“; ყველა საკითხში არ არიან ჩართულები ჯგუფის წევრები. რთულია საქმიანობის ორგანიზება და კოორდინირება.

ეცადეთ, რომ თქვენს ჯგუფში არ გაჩნდეს ამგვარი პრობლემები

მაგალითად, თქვენი ინტერესების სფეროა გარემოს დაცვა. კერძოდ, **რეკრეაციული** ზონების დაცვა და შექმნა. თემის გზამკვლევისთვის უნდა გამოიკვლიოთ, რომელი რეკრეაციული ზონებია თქვენს თემში.

მაგალითად, თუ თქვენ ცხოვრობთ თბილისში, თქვენს ქალაქში არსებობს ვაკის პარკი, საბურთალოსა და კიკვიძის პარკები, იპოდრომი, კუს და ლისის ტბები და სხვ. (შესაძლებელია, შეამციროთ თემის არეალი ცალკეული უბნების დონეზე). შემდეგ მოიძიეთ ამ რეკრეაციულ ზონებთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა, იპოდრომის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა და სხვ.

შემდეგ მოიძიეთ ორგანიზაციები, რომლებიც ამ პრობლემებზე მუშაობენ და გამოავლინეთ სავარაუდო პარტნიორები. მაგალითად, ორგანიზაცია - პარტიზანული მებაღეობა თბილისში (www.facebook.com/Tbilisitrees?fref=ts), მწვანე ალტერნატივა (greenalt.org), საქართველოს გარემოს დაცვის ოფისი (www.facebook.com/pages/ საქართველოს-გარემოს-დამცველის-ოფისი), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო (www.greens.ge) და სხვ.

რეკრეაცია *ლათინური სიტყვაა და აღდგენას ნიშნავს. ხშირად, რეკრეაციის ცნება გაგებულია ცალსახად და იგი დაკავშირებულია ადამიანის ბუნებაში დასვენებასთან და მისი ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენასთან. მაგრამ ეს გაგება მცდარია, გამომდინარე იქიდან, რომ რეკრეაცია არის ადამიანის ბუნებასთან კავშირ-ზემოქმედების პროცესი. რამდენადაც ჩვენ აღვიდგენთ ფიზიკურ თუ სულიერ ძალებს, ასევე ზემოქმედებას ვახდენთ გარემომცველ ბუნებაზე.*

ამრიგად, თქვენ გამოავლინეთ თქვენი ინტერესთა სფერო, გამოავლინეთ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები.

ამის შემდეგ იწყებთ საკლასო პროექტის თემის შერჩევას.

შეარჩიეთ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან ერთ-ერთი. საერთო ინტერესების გათვალისწინებით, შექმენით მცირე ჯგუფები. ჯგუფებში იმსჯელეთ და თქვენი ნააზრევი შემდეგ წარუდგინეთ მთელ კლასს. გამოვლენილი 4-5 საპროექტო წინადადებიდან უნდა შეირჩეს ერთი.

ვთქვათ, შეირჩა ოთხი სარეკრეაციო ზონის: ვაკის პარკის, საბურთალოს პარკის, კუს ტბის, იპოდრომის პრობლემები.

გამართეთ დისკუსია თითოეულ გამოვლენილ თემასთან დაკავშირებით.

სავარაუდო შეკითხვები:

- რომელი რეკრეაციული ზონის დაცვაა ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი თბილისისთვის და რატომ?
- რა ღონისძიებებს გეგმავთ პრობლემის მოსაგვარებლად?
- რომელ გარემოს დამცველ ორგანიზაციებთან ითანამშრომლებთ?
- რა შედეგების მიღწევას გეგმავთ?

არგუმენტირებული პასუხების შემდეგ, ხმის მიცემით გამოავლინეთ მთელი კლასისთვის მნიშვნელოვანი საპროექტო წინადადება.



2

საკლასო პროექტის საფეხურები

- I საფეხური: გამოკვლევა - საჭიროებათა ანალიზი
- გარემოს / თემის შესწავლა
- „თემის გზამკვლევის" შედგენა
- პრობლემების/საჭიროებების იდენტიფიცირება

საკლასო პროექტის შექმნის პირველი საფეხურია გამოკვლევა - საჭიროებათა ანალიზი. ამ ეტაპზე დგინდება კლასში, სკოლაში, თემში არსებული პრობლემები.

პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, უნდა შეისწავლოთ გარემო, შეაგროვოთ და გააანალიზოთ ინფორმაცია და შემდეგ შეარჩიოთ პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, ძირითადად, იქმნება **პრაქტიკული**, რაც ითვალისწინებს სოციალური და ინფრასტრუქტურული ამოცანების მოგვარებას, **კვლევითი**, **საინფორმაციო და პრობლემის ადვოკატირებასთან დაკავშირებული** პროექტები. ამ სახის პროექტებს სამოქალაქო/სათემო აქტივობით პროექტებსაც უწოდებენ.

სწორედ ამგვარი პროექტების შექმნის დროს, ინფორმაციის მოძიების საფეხურზე უნდა გამოვლინდეს კლასის, სკოლის, თემისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები. შეგიძლიათ, პრობლემები შეარჩიოთ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- **თემში არსებული პრობლემები;**
- **საერთო საზოგადოებრივი პრობლემები;**
- **ზოგადი პრობლემები;**
- **სოციალური პრობლემები;**
- **პრობლემები კლასსა და სკოლაში;**
- **თქვენი თანატოლების პრობლემები.**

ამ ეტაპზე უნდა გამოავლინოთ საკითხით დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები და შეძლოთ, ზოგადად, სიტუაციის ანალიზი არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საკლასო პროექტის ამ საფეხურზე თქვენ გაარკვევთ, თუ რა არის მნიშვნელოვანი თქვენი სკოლისა და თემისთვის, რა პრობლემები არსებობს თქვენს თემში და შემდეგ შეარჩევთ აქტუალურ პრობლემას.

როგორ უნდა მოიქცეთ საპროექტო თემის შერჩევისას?

პირველყოვლისა, უნდა განსაზღვროთ თქვენი ინტერესის სფეროები. ამისთვი გადაინერეთ და შეავსეთ კითხვარი - „აღნერეთ თქვენი ინტერესები“.

ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად ავსებს კითხვარს.

კითხვარი:

- რა არის თქვენი ჰობი?
- რომელი საგანი გიყვართ ყველაზე მეტად?
- ჩამოთვალეთ, რომელი უნარ-ჩვევები გაგაჩნიათ?
- რას გააუმჯობესებდით თქვენ ირგვლივ?
- რაზე ზრუნავთ სკოლაში, სამეზობლოში?
- რის გაკეთებას ისურვებდით მსოფლიოს გასაუმჯობესებლად?
- თქვენს თემში არსებულ რომელ პრობლემაზე გსურთ მეტი ინფორმაციის გაგება?
- როგორ ფიქრობთ, რას ისწავლით საკუთარ თავზე, თქვენს თემსა და სხვებზე?

კითხვარის შევსების შემდეგ თითოეული თქვენგანი გაიაზრებს, თუ რა ინტერესები გაგაჩნიათ და როგორ შეძლებთ თქვენი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას თქვენივე ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ უნდა უნდა შეადგინოთ „თემის გზამკვლევი“.

რა არის თემის გზამკვლევი და როგორ უნდა შეადგინოთ იგი?

თემის გზამკვლევი არის ინფორმაციის კრებული თქვენს თემში არსებულ პრობლემებზე, რესურსებზე, მნიშვნელოვან ორგანიზაციებზე, პოტენციურ პარტნიორებზე.

„თემის გზამკვლევის“ შედგენა საშუალებას მოგცემთ, გამოავლინოთ თემში არსებული პრობლემები, საჭიროებები, ამ პრობლემით დაინტერესებული პირები, სავარაუდო პარტნიორები და, ზოგადად, ყველა არსებული რესურსი.

ეს ეტაპი დაგეხმარებათ კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაში.

შესაძლებელია „თემის გზამკვლევის“ აზრობრივი რუკის შედგენა.

თემის გზამკვლევის შედგენის პროცესში, პირველყოვლისა, გაიაზრეთ, თუ რას ნიშნავს ცნება - თემი, გაეცანით სხვა ტერმინებსაც: **ასოციაცია**, **ორგანიზაცია**, **ინსტიტუცია.**

შეადგინეთ თემში არსებული რესურსების, ორგანიზაციების, ინსტიტუციების ზოგადი ჩამონათვალი. შემდეგ გაიაზრეთ, რომელი მათგანი შეესაბამება თქვენს ინტერესებს. გაარკვიეთ, როგორ ითანამშრომლებთ პოტენციურ პარტნიორებთან.

თემი - *ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული - ორი ან მეტი დასახლების გაერთიანება, რომელსაც აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთიანი ორგანო და ადმინისტრაციული ცენტრი. თემი შეიძლება აერთიანებდეს როგორც რამდენიმე დასახლებას, ისე რამდენიმე თემს.*

ასოციაცია *ლათინური სიტყვაა და ნიშნავს - „ვუერთდები“. ასოციაცია საერთო ინტერესების მქონე ადამიანების ან ორგანიზაციების გაერთიანება/კავშირია.*

ორგანიზაცია *არის გარკვეული განზრახვების ან მიზნების მიღწევისათვის შექმნილი გაერთიანება, რომელიც ხასიათდება წესების ფორმალური სტრუქტურით, ძალაუფლებითი ურთიერთობებით, შრომის დანაწილებით, შეზღუდული წევრობითა და წესებით.*

ინსტიტუცია *დემოკრატიულ სისტემებში იხმარება არა მარტო ინსტიტუტის ან ორგანიზაციის აღსანიშნავად, არამედ იმავდროულად მოიცავს ამ ინსტიტუტების ფუნქციონირების წესებსა და პროცედურებს.*

სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა
(დაგეგმილი საქმიანობების გაცნობა - შეხვედრისათვის სივრცის და ტექნიკის გამოყოფა)

პრაქტიკული მაგალითი: მე, ბუნების პატარა მცველი

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და მონაწილეობით, სკოლის ეზოს კეთილმოწყობა განხორციელდა. დასუფთავდა და გამწვანდა სკოლის ეზო, ტერიტორიაზე დაიდგა ნაგვის ურნები და სკამები. მოსწავლეებმა შედეგიანად ითანამშრომლეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რომელმაც სკოლას საჭირო რაოდენობის ნერგები, სკამები და ნაგვის ურნები გადასცა. შესაბამისი სამსახურის მიერ, ასევე, დაინიშნა მანქანა, რომელსაც სოფლიდან დღესაც გააქვს ნარჩენები.

USAID
ამერიკის სუფთა

PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

3

მომზადება

- პრაქტიკული ინფორმაციის მოპოვება საპროექტო თემების ან საკითხების შესახებ
- შერჩეულ პრობლემასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების მოპოვება
- პრაქტიკული მაგალითი

პროექტისათვის თემის შერჩევა, პრობლემის სწორად იდენტიფიცირება თქვენი საქმიანობის დასაწყისია. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგით, ამის შემდეგ იწყებთ ინფორმაციის შეგროვებას შერჩეული პრობლემის ირგვლივ. განსაზღვრავთ, თუ რამდენად აქტუალურია შერჩეული პრობლემა.

მაგ., თუ პრობლემა ეხება გარემოს დაცვას, კერძოდ, რეკრეაციული ზონების დაცვისა და შექმნის პრობლემას, თქვენ უნდა გაარკვიოთ, ამ საკითხთან დაკავშირებით სად მოიძიებთ ინფორმაციას, მაგ., საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (www.moe.gov.ge), ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, სახალხო დამცველის აპარატში, მწვანე ალტერნატივაში (greenalt.org), საქართველოს გარამოს დაცვის ოფისში (www.facebook.com/pages/ საქართველოს-გარემოს-დამცველის-ოფისი), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები - საქართველოში (www.greens.ge) და სხვ.

ამის შემდეგ უნდა დაგეგმოთ აქტივობები. შექმნათ ჯგუფები და გადაინაწილოთ საქმიანობები (საკლასო პროექტის დროს მთელი კლასი ერთ პროექტზე მუშაობს, მაგრამ შექმნილი ჯგუფები ინანილებენ საქმიანობებს). მაგალითად, რომელი ჯგუფები ესტუმრებიან ორგანიზაციებს და რა სახის ინფორმაციას მოიძიებენ, საკითხის რომელ ექსპერტთან აიღებენ ინტერვიუს. ვინ მოიძიებს ინფორმაციას სოციალური მედიიდან, სტატისტიკურ მონაცემებს და სხვ. (აუცილებლად უნდა გამოავლინოთ ჯგუფში აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი).



საკლასო პროექტი დაგეხმარებათ, იზრუნოთ თქვენს გარემოზე, როგორც მოხალისეებმა.

ზოგადად, მოხალისეობასა და იმაზე, თუ როგორ გახდეთ **მოხალისე**, ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე - **www.initiatives.ge**

მოხალისე

მოხალისე - *მოხალისე არის პიროვნება, რომელიც უსასყიდლოდ, საკუთარი ინიციატივით, ზრუნავს სხვებზე, აგვარებს პრობლემებს თემში.*

ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა მოიძიოთ კანონები, რომლებიც არეგულირებენ თქვენ მიერ შერჩეულ საკითხს, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო (დეკლარაციების, კონვენციების) დონეზე.

გაარკვიეთ, რა კონკრეტული პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს ხელისუფლებას თქვენ მიერ გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიმართულებით? მაგალითად, გარემოს დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით, მოიძიეთ „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“.

გააანალიზეთ მიყენებული ზიანი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ჩამოწერეთ ადამიანის ის უფლებები, რომლებიც ირღვევა.

მაგალითად, გარემოსდაცვით პრობლემებზე გაეცანით კონვენციას გარემოსდაცვით საკითხებზე. მასში მითითებულია:

„აცნობიერებენ რა, რომ გარემოს ადეკვატური დაცვა უმნიშვნელოვანესია ადამიანის კეთილდღეობისათვის და მისი უფლებების, მათ შორის სიცოცხლის უფლების დაცვისათვის.

აღიარებენ აგრეთვე რა, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ“.

საკლასო პროექტის მომზადების ეტაპზე, უნდა გაარკვიოთ, თუ ვის შეიძლება მიმართოთ დახმარებისთვის. სახელმწიფო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და/ან კერძო სექტორს.

მაგალითად, რეკრეაციულ ზონებთან დაკავშირებულ პრობლემებზე შესაძლებელია მიმართოთ ადგილობრივ თვითმმართველობას.

თქვენ უკვე დაგეგმეთ, რა ღონისძიებები/აქტივობებია საჭირო პროექტის განსახორციელებლად, თუმცა თითოეული აქტივობისათვის საჭიროა გარკვეული რესურსი - როგორც მატერიალური, ასევე, ადამიანური. მნიშვნელოვანია, დეტალურად განსაზღვროთ, რა მატერიალური რესურსი გჭირდებათ მიზნის მისაღწევად.

შესაძლოა, ამა თუ იმ ამოცანის შესრულებისას, თანამშრომლობა გაგიწიოთ თვითმმართველობამ, სკოლის დირექციამ ან მშობლებმა და აღარ დაგჭირდეთ ფულადი სახსრები. მაგრამ, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს გარკვეული თანხების მოძიება. ამიტომ, პროექტზე მუშაობისას, მნიშვნელოვანი საფეხურია თითოეული ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯების დადგენა.

თქვენ უნდა განსაზღვროთ, რა რესურსი და ხარჯები დაგჭირდებათ თითოეული აქტივობის შესრულებისას, რომელთა დაჯამების შედეგადაც მიიღებთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტს:

1	დაგეგმილი ღონისძიებები	ვის შეიძლება მიმართოთ შესრულებისას	ხარჯები
2			
3			
4			

ყველა ორგანიზაციას საკუთარი ფორმა აქვს საპროექტო განაცხადისათვის, თუმცა ქვემოთ მოცემულ გეგმაში გათვალისწინებული პუნქტები დაგეხმარებათ, მოამზადოთ პროექტის განაცხადი და დაინტერესებულ მხარეს ნათლად წარუდგინოთ თქვენი პროექტის შინაარსი:

პროექტის აღწერის საფეხურები

1. საინიციატივო განაცხადის თავფურცელი
2. ინფორმაცია საინიციატივო ჯგუფის შესახებ
3. პრობლემის აღწერა
4. პროექტის მოკლე აღწერა
5. პროექტის ბენეფიციარები და გეოგრაფიული დაფარვა
6. პროექტის განხორციელების ვადები

ა. პროექტის დაწყების სავარაუდო თარიღი:
ბ. პროექტის დასრულების სავარუდო თარიღი:

7. პროექტის მოსალოდნელი შედეგები
8. პროექტთან დაკავშირებული რისკები
9. ბიუჯეტი
10. პროექტის აქტივობები და გრაფიკი

4

მომზადება - პროექტის დაგეგმვა

- დაგეგმვის მნიშვნელობა პროექტის განხორციელებაში – როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემა
- ვინ ახდენს გავლენას შერჩეული პრობლემის გადაჭრის პროცესზე
- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების დადგენა
- ბიუჯეტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის აუცილებლობა

სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტზე მუშაობის პროცესში თემისთვის საინტერესო პრობლემების გამოვლენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თქვენ უკვე შეისწავლეთ გარემო, გაეცანით თქვენი თემის, საზოგადოების, სკოლის საჭიროებებს, გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, განსაზღვრეთ პრიორიტეტები და შეარჩიეთ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაჭრაც წარმოადგენს თქვენი პროექტის მთავარ მიზანსა და შინაარსს.

ახლა საჭიროა, განსაზღვროთ თქვენი პროექტის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და დაგეგმოთ კონკრეტული ღონისძიებები. დაგეგმვა პროექტის მომზადების მნიშნელოვანი ეტაპია, რადგან ეს გულისხმობს პრობლემის ყველაზე ეფექტიანი გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებებისა და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრას.

რა არის თქვენი პროექტის მიზანი?

- **რა არის თქვენი პროექტის ზოგადი მიზანი?**
- **რა არის თქვენი პროექტის კონკრეტული მიზანი?**

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენი პროექტის მიზნებს, საჭიროა, დაადგინოთ მოსალოდნელი შედეგებიც, ანუ რას უნდა მიაღწიოთ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებით, რისი შეცვლა და გაუმჯობესება გინდათ.

მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრისას, სასურველია, დაადგინოთ ის რისკებიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასურველი შედეგის მიღებას. საორიენტაციოდ, შეგიძლიათ გამოიყენოთ მარტივი გრაფიკული ჩარჩო, სადაც კონკრეტულ მოსალოდნელ შედეგს შეუსაბამებთ ამ შედეგის მიღწევისას ნავარაუდევ რისკებს.

	მოსალოდნელი შედეგები	რისკები
1		
2		
3		

თქვენ უკვე იცით, რა მიზანი გაქვთ. ასევე, იცით, რა შედეგს უნდა მიაღწიოთ. ახლა საჭიროა, განსაზღვროთ, ვის შეუძლია გავლენის მოხდენა თქვენი პროექტის ეფექტიანობაზე, შერჩეული პრობლემის გადაჭრაზე. **გონებრივი იერიშის** დახმარებით, შეგიძლიათ, განსაზღვროთ, ვინ შეიძლება ჩართოთ პროექტზე მუშაობაში:

- **მშობლები**
- **სკოლის სხვა კლასების მოსწავლეები**
- **სკოლის კლუბის წევრები**
- **სკოლის დირექცია**
- **სხვა სკოლები**
- **თემის წარმომადგენლები**
- **ადგილობრივი თვითმმართველობა**
- **კონკრეტული სფეროს წარმომადგენლები (პოლიტიკოსები, იურისტები, ექიმები....) და ა.შ.**

გონებრივი იერიში - *ჯგუფური მუშაობის მეთოდი, რომლის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების შეგროვება. „გონებრივი იერიშის“ გამოყენება თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და განაპირობებს საერთო პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტას.*

ახლა, როდესაც ყველა დაინტერესებული მხარე განსაზღვრეთ, რომელსაც თქვენ მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, დროა, დაგეგმოთ კონკრეტული ღონისძიებები/ აქტივობები, თუ რა უნდა გააკეთოთ.

დაგეგმვისას შეავსეთ მოცემული ცხრილი, რათა განსაზღვროთ, სწორი მიმართულებით მიდიხართ თუ არა:

	დაგეგმილი ღონისძიებები/ აქტივობები	ვეცადეთ, თუ არა პროექტის მიზნებს	მიმართულია თუ არა მოსალოდნელი შედეგების მიღწევისაკენ	გვეხმარება თუ არა რისკების აცილებაში	არის თუ არა დროში განსაზღვრული	გვეხმარება თუ არა გეგეფიციურობის ჩართვაში	ვის შეიძლება მიმართოთ მისი მესრულების დროს
1							
2							
3							
4							

თქვენ უკვე დაგეგმეთ თქვენი პროექტი. იცით:

- **რა მიზანი გაქვთ**
- **რა შედეგი უნდა მიიღოთ**
- **რა უნდა გააკეთოთ**
- **ვინ უნდა ჩართოთ პროექტში, ვისთან თანამშრომლობთ**
- **რა რესურსი და ხარჯები (ბიუჯეტი) გჭირდებათ**
- **რა დრო გჭირდებათ**
- **ვინ არის თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი**

ახლა დროა, თქვენი ნამუშევარი წარმოადგინოთ გაერთიანებული ცხრილის სახით, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს თქვენი გეგმა:

აქტივობები/ ღონისძიებები	მოსალოდ-ნელი შედეგები	რისკები	ვისთან ვთანამშრომ-ლობთ	ხარჯები	დრო: დაწყება-დას-რულება	ხანგრძლივო-ბა	შემს-რულებელი

იმისათვის, რომ უფრო გაგიადვილდეთ თქვენი პროექტის შესრულებისათვის თვალის დევნება, თქვენი აქტივობების განრიგის შესაქმნელად შეგიძლიათ მიმართოთ google-ის კალენდარს, რომელიც ძალზე მოსახერხებელი რესურსი იქნება მოცემული კალენდრის ურთიერთგაზიარებისათვის, google-ის კალენდარი საშუალებას მოგცემთ, წვდომა გქონდეთ მასზე როგორც სახლიდან, ასევე, ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან.

მოცემულ ბმულზე იხილავთ დეტალურ ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა შექმნათ google კალენდარი:

www.ict.tpdc.ge/video/23?ch=122



5

მომზადება – როლების გადანაწილება

- პროექტის განხორციელების ნაბიჯების/ღონისძიებების/ აქტივობების განსაზღვრა და დაგეგმვა
- ყველას ჩართულობის მნიშვნელობა
- მონაწილეობა შეუძლია ყველას!
- კლასში როლების გადანაწილება
- თაიმლაინის (დროის) განსაზღვრა

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და დაგეგმვა ძალზე მნიშვნელოვანი საფეხურია მიზნის მიღწევისაკენ. თქვენ უკვე განსაზღვრეთ, რა არის საჭირო დასახული პრობლემის გადასაჭრელად. ასევე, იცით, რა მატერიალური რესურსი გჭირდებათ. ახლა აუცილებელია, დაადგინოთ კონკრეტული დრო, თარიღი და ხანგრძლივობა თითოეული ღონისძიებისათვის/აქტივობისათვის, რათა თქვენი პროექტი იყოს უფრო თანმიმდევრული და შედეგიანი.

დაგეგმილი აქტივობების თანმიმდევრულობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა პროექტის წარმატებისათვის. ხშირად ერთი აქტივობა მეორეს გაგრძელებაა, ან წინა ღონისძიებების შედეგზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ასეთი აქტივობების რიგითობის განსაზღვრასა და დაცვას.

დროის განაწილებასა და განსაზღვრაში ძალიან დაგეხმარებათ მოცემული ცხრილის შევსება:

აქტივობა / ღონისძიება	საჭირო რესურსი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ დროს, ანუ შეადგენთ თქვენი ღონისძიებების განრიგს, აუცილებელია, გაინაწილოთ როლები და აიღოთ პასუხისმგებლობა თითოეული აქტივობის შესრულებაზე.

მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ყველამ!

სწორად გადანაწილებული პასუხისმგებლობების შემთხვევაში, მთელი კლასი დიდი ძალაა წარმატების მისაღწევად.

განსაზღვრისას, თუ რომელი თქვენგანი რომელ აქტივობაზე იმუშავებს, აუცილებლად გაითვალისწინეთ ერთმანეთის ძლიერი მხარეები, ინტერესები, ხასიათი.

შეეცადეთ, არ გამოგრჩეთ არც ერთი გამორჩეული თვისება, რაც თქვენს კლასელს ახასიათებს. გახსოვდეთ, კლასში არსებული მრავალფეროვნება არის ძალიან ღირებული რესურსი, რომელიც, გონივრულად დაგეგმვის შემთხვევაში, თქვენს წარმატებას განაპირობებს.

გახსოვდეთ, რომ არ არსებობს მოსწავლე, რომელიც, პროექტის განხორციელებისას, მონაწილეობას ვერ შეძლებს. შეეცადეთ, არც ერთი თქვენგანი არ დარჩეს პასიურ მაყურებლად და სახლის შენებისას ერთი აგური მაინც ყველას შეხვდეს, რადგან თქვენ აშენებთ სახლს ყველასთვის!

თქვენ აუცილებლად შეძლებთ თქვენთვის შესაფერისი აგურის მოძებნას!



როდესაც იცით, თუ ვინაა კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი, იზრდება შანსი, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ჯაჭვის არც ერთი რგოლი არ ჩაიშლება.

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების ჯაჭვში არ არსებობს „დიდი საქმე“ და „პატარა საქმე“. გახსოვდეთ, ყველა აქტივობას დიდი მნიშვნელობა აქვს! შესაძლებელია, მთელი სამუშაო წყალში ჩაგეყაროთ, თუ აღმოჩნდება, რომ ჯგუფიდან ერთ-ერთს რატომღაც დაავიწყდა საჭირო სატელეფონო საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება მშობლებთან, რაც, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს.

გახსოვდეთ , რომ ერთი შეხედვით ადვილმა და მარტივმა საქმემ, შესაძლოა, მთელი პროექტის ბედი გადაწყვიტოს.

სწორედ ამიტომ - პროექტის განხორციელებაში ყველას ჩართულობა თანაბრად მნიშვნელოვანია!



თემა, პრობლემა	პირდაპირი ქმედება	არაპირდაპირი ქმედება	ადვოკატირება	კვლევა
სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება				
სკოლის მოსწავ-ლეები ფიქრობენ და მოქმედებენ სასკოლო კლიმატის გასაუმ-ჯობესებლად	მოსწავლეები იკვლევენ სკოლის ფიზიკურ და ემოცი-ურ გარემოს. გამოიკითხავენ მოსწავლეებს, მასწავ-ლებელებს, სკოლის სხვა თანამშრომლებს, მშობლებს.	მოსწავლეები სწერენ წერილს სკოლაში ახალ გადმოსულ მოს-წავლეებს და ეხმარე-ბიან მათ, უმტკივნეუ-ლოდ გაიარონ ახალ გარემოში ადაპტაცი-ის პერიოდი.	მოსწავლეები ერთიანდებიან დასახული მიზნის მისაღწევად. იღებენ გადაწყვეტილებას ბულინგის წინააღმ-დეგ. ცდილობენ, სკოლაში არ დაირ-ღვეს ძირითადი დემოკრატიული ღირებულებები. წერენ წერილებს ამ საკითხით დაინტერ-ესებულ პირებს (ვინც პასუხისმგებელია და შეუძლია პრობლემის მოგვარება) - სკოლის დირექტორს, სამეურ-ვეო საბჭოს წევრებს, სკოლის თვითმმართ-ველობას, და სხვა.	მოსწავლეები იკვლევენ ბულინგის პრობლემას სხვადასხ-ვა ჯგუფში. ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. შემდეგ პრეზ-ენტაციას აკეთებენ კვლევის შედეგებზე დაინტერესებულ პირებთან - სკოლის დირექტორთან, სამეურვე საბჭოს წევ-რებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობას-თან და სხვა.

დავალება: თქვენ მიერ არჩეულ პრობლემასთან დაკავშირებით, ქვემოთ მოცემული ქმედებების ცხრილი გადაიხაზეთ რვეულში და შეავსეთ. მონიშნეთ შესაბამისი გრაფა - როგორ შეესაბამება ის თქვენი პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს:

თემა, პროგლემა	პირდაპირი ქმედება	არაპირდაპირი ქმედება	ადვოკატირება	კვლევა

6

განხორციელება-ქმედება / აქტივობები

- დაგეგმილი ღონისძიებების მესრულება
- პირდაპირი ქმედება
- არაპირდაპირი ქმედება
- ადვოკატირება
- კვლევა

ქმედება/აქტივობები საკლასო პროექტის მესამე საფეხურია.

ამ ეტაპზე ხდება დაგეგმილი ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება.

ქმედების ეტაპზე შეძლებთ, აქტიურად ჩაერთოთ მნიშვნელოვან შემოქმედებით პროცესში. თქვენ მიერ გამოვლენილი პრობლემის მოგვარების პროცესში გამოგიმუშავდებათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები, საზოგადოებასთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. ისწავლით გარემოზე ზრუნვას, გაიაზრებთ, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ინიციატივა და მონაწილეობა კლასში, სკოლაში, თემში, ქვეყანაში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

არსებობს ქმედების ოთხი სახე (საშუალება):

- პირდაპირი ქმედება;
- არაპირდაპირი ქმედება;
- ადვოკატირება;
- კვლევა.

განვმარტოთ თითოეული მათგანი:

პირდაპირი ქმედება არის აქტივობა, როდესაც პრობლემის მოგვარების პროცესში თქვენ უშუალოდ მუშაობთ იმ ადამიანებთან ან იმ ადამიანებისთვის, ბენეფიციარებისთვის, ანუ პროექტით მოსარგებლე პირებისთვის, ვის კეთილდღეობაზეც ზრუნავთ. ამგვარი ქმედება თქვენ განიჭებთ სიხარულსა და კმაყოფილებას, გივითარებთ თავდაჯერებულობის გრძნობას. პირდაპირი ქმედების დროს, თქვენ მაშინვე ხედავთ განხორციელებული აქტივობის შედეგს და ბენეფიციარებისგან იღებთ პოზიტიურ უკუკავშირს.

მაგალითად, მოხუცთა დახმარება, ცხოველებზე ზრუნვა და სხვ.

არაპირდაპირი ქმედების დროს თქვენ უშუალო კონტაქტი არ გაქვთ იმ პირებთან, ვისთვისაც ზრუნავთ, თქვენ მოქმედებთ გარემოსა და საზოგადოებაზე - მაგალითად, სკვერის მოწყობა თემში, ტანსაცმლის შეგროვება სოციალურად დაუცველი პირებისათვის და სხვ.

ადვოკატირება ქმედების მესამე საშუალებაა. ადვოკატირების დროს თქვენ ინფორმაციას აწვდით თემს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ინიციატივის გამოხატვა და მონაწილეობა და რომ არსებობს ქმედების სხვადასხვა გზა. თქვენ ცდილობთ, ხმა მიაწვდინოთ პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებელ პირებს.

ადვოკატირების პროცესი შეიძლება განხორციელდეს სკოლიდან გაუსვლელად. ხშირად მოსწავლეები გაუცნობიერებლად ერთვებიან ადვოკატირების პროცესში.

მაგალითად, წერილების მიწერა სახელმწიფო მოხელეებისთვის, იმიტირებული სხდომების მოწყობა, ბულინგის (სასკოლო ძალადობის) წინააღმდეგ პოსტერების შექმნა, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეხვედრა ახალგაზრდული ცენტრის მოწყობის მიზნით.

კვლევა - თქვენ შეგიძლიათ განახორციელოთ კვლევა. კვლევის დროს ხდება ინფორმაციის შეგროვება იმ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი თემისთვის. მაგალითად, შეგიძლიათ გამოიკვლიოთ თქვენს თემში არსებული ძეგლის ისტორია და მოაწყოთ პრეზენტაცია, ჩაატაროთ ლაბორატორიული კვლევა სასმელი წყლისა და ნიადაგის ხარისხზე, მოიპოვოთ და საზოგადოებას გააცნოთ ინფორმაცია მეორადი გადამუშავების პროდუქტების შესახებ და სხვა.

ელექტრონული პორტფოლიოს მთავარი უპირატესობა მასზე ხელმისაწვდომობაა ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კომპიუტერი და ინტერნეტი გეგულებათ. მოცემულ ლინკზე შეგიძლიათ იხილოთ დეტალური ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შექმნათ ელექტრონული პორტფოლიო ბლოგზე, სამუშაოების შესრულებისას, შეგიძლიათ დაიხმაროთ მასწავლებლები:

www.ict.tpdc.ge/video/48



ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება აადვილებს ინფორმაციის გაზიარებისა და გავრცელების პროცესს. სურვილის შემთხვევაში, მასალის გაზიარება შეგვიძლია უფრო დიდი ჯგუფისათვის, ვიდრე ამას უშუალო შეხვედრისას შევძლებდით. ამავე დროს, ინტერნეტსივრცე გვთავაზობს ონლაინდისკუსიების, გამოკითხვების საშუალებასაც, რაც მიღებული შედეგების შესამოწმებლად, გასაზომადაც გამოგვადგება.

პროექტზე მუშაობის დროს ხშირად დაგჭირდებათ სხვადასხვა ტიპის ანკეტისა თუ კითხვარის შექმნა, უკუკავშირის მიღება და შედეგების ანალიზი, რაც, საბოლოოდ, თქვენი პორტფოლიოს ნაწილად იქცევა. ამ საქმიანობის გასაადვილებლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ე.წ. google-ის ფორმები, რომლებიც გთავაზობთ მზა ჩარჩოებს თქვენთვის საინტერესო შინაარსისათვის. დეტალური ინსტრუქციებისათვის მიმართეთ მოცემულ ლინკს: www.ict.tpdc.ge/video/58

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

7

პროექტის შედეგების რეფლექსია/გაკეთება – ინფორმაციის მოგროვება

- ყველანაირი ინფორმაციის თავმოყრა – რა გაკეთდა
- პორტფოლიოს წარმოება
- ვიდეოები, ფოტოები, კითხვარები და ყველა ტიპის საილუსტრაციო მასალა, რაც იძლევა ინფორმაციას შესრულებული ღონისძიებების შესახებ

პროექტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებით პროექტი არ მთავრდება. წინ კიდევ მნიშვნელოვანი საქმიანობა გელით... მართალია, თქვენ უკვე შეასრულეთ ის ღონისძიებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში დაგეგმეთ, მაგრამ სანამ მიღებულ შედეგებს სხვებს გაუზიარებდეთ, საჭიროა, მათი თავმოყრა, ორგანიზება და რეფლექსია, ანუ გააზრება. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაგეგმოთ პრეზენტაცია.

იმისათვის, რომ თქვენ მიერ შესრულებული საქმიანობის სხვებისათვის გაზიარება გაგიადვილდეთ, სასურველია, პროექტზე მუშაობის დაწყებისთანავე იზრუნოთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოების ამსახველი მასალის მოგროვებაზე. ეს მასალა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის:

- ფოტო
- ვიდეო
- აუდიო
- წერილობითი
- ნახატი
- ნივთი
- კითხვარები, ინტერვიუები
- პოსტერები, წერილები, განცხადებები, აფიშები
- გადახდის ჩეკები, ქვითრები
- და სხვა

მასალა, რომელიც ასახავს და უკავშირდება იმას, რაც გააკეთეთ პროექტის ყველა ეტაპზე, უნდა მოაწესრიგოთ და გააერთიანოთ პორტფოლიოში (საქაღალდეში).

პორტფოლიო არის ერთგვარი საქაღალდე, რომელიც აერთიანებს ყველაფერს, რაც კონკრეტულ, შერჩეულ თემას უკავშირდება. პორტფოლიო უნდა მოიცავდეს ყოველგვარ თვალსაჩინო მასალასა და ინფორმაციას, რომელიც დაინტერესებულ პირს ზედმიწევნით სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის შესრულებული სამუშაოს შესახებ.

პორტფოლიო შეიძლება იყოს როგორც ერთად შეკრებილი მატერიალური მასალა, ასევე, შესაძლოა, წარმოადგენდეს რაიმე ინტერნეტპროდუქტს ელექტრონულ სივრცეში, სადაც ანალოგიურად იქნება თავმოყრილი ყველაფერი, რაც იძლევა ინფორმაციას პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მაგალითად, პროექტის ელექტრონული პორტფოლიო შეიძლება განთავსდეს ბლოგზე ან სოციალურ ქსელში.

აქტივობის ფორმა

აქტივობა რეფლექსიისათვის	წერილობითი	ზეპირი	მხატვრული, აუდიო, ვიდეო	ქვედებასთან დაკავშირებული	ელექტრონული
ჯგუფური დისკუსია					
აქტივობების დადგენა					
როლების გადანაწილების ფორმა					
სამუშაოს დოკუმენტირება					
ინფორმაციის გავრცელება პროექტის შესახებ					
საცნობარო ფურ-ცლების/ფლაერების, ბუკლეტების ნარმოება					
აღრიცხვის ჟურნალის ნარმოება					
საკლასო პრეზენტაციები					
ჟუალფული ანგარიშების ნარმოება					
თემთან გეგმიური ურთიერთობა					
პოსტერების ნარმოება					
პირადი გამოცდილების გაზიარება					

აქტივობის ფორმა

აქტივობა რეფლექსიისათვის	წერილობითი	ზეპირი	მხატვრული, აუდიო, ვიდეო	ქვედებასთან დაკავშირებული	ელექტრონული
ჯგუფური გამოცდილების გაზიარება					
ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო...					
ეს ყველაზე საბალისო იყო...					
ეს ყველაზე რთული იყო...					
პორტფოლიო					
უკუკავშირი					
რა დაგვრჩა პროექტიდან...					
კითხვარები და ინტერვიუები					
საბოლოო ანგარიში პროექტის შესახებ					
პროექტის ეფექტების აბსახველი ბროშურის გამოსახულება ერთი-ვარი „ლიფერ"					
პროექტის აბსახველი ბუნებრივი ნანარმოები					

8

პროექტის შედეგების რეფლექსია/გაანალიზება – ინფორმაციის გაანალიზება

- კორტფოლიოს შესწავლა/გაანალიზება
- რეფლექსია: გაანზრება – რა გავაკეთეთ
- მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება
- შეჯამება – გეგმისა და შესრულებული სამუშაოს შედარება

პორტფოლიოს შექმნისა და მთელი თქვენი საქმიანობის ამსახველი მასალის თავმოყრა ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რომ პრეზენტაციისათვის წარდგეთ დაინტერესებული მხარეების წინაშე. ახლა დროა, დაფიქრდეთ, გაიაზროთ და, სანამ სხვებს გააცნობთ, სანამ საპრეზენტაციოდ წარადგენთ, ერთმანეთს გაუზიაროთ, რა გააკეთეთ.

კიდევ ერთხელ დაფიქრება შესრულებულ საქმიანობაზე, გამოცდილების ურთიერთგაზიარება დაგეხმარებათ, გააანალიზოთ, რისი გაკეთება შეძელით და რისი - ვერა:

- კიდევ ერთხელ მიუბრუნდით თქვენი პროექტის გეგმას - აქტივობების ჩარჩოს და პორტფოლიოს მიხედვით გადაამოწმეთ დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა;
- გაუზიარეთ ერთმანეთს, რა ისწავლეთ პროექტზე მუშაობისას;
- გაუზიარეთ ერთმანეთს, რა მოგეწონათ პროექტზე მუშაობისას;
- გაუზიარეთ ერთმანეთს, რა სირთულეებს წააწყდით პროექტზე მუშაობისას;
- გაუზიარეთ ერთმანეთს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც მიიღეთ;
- გაიაზრეთ, თავიდან რომ ასრულებდეთ აღნიშნულ აქტივობებს, რას შეცვლიდით, როგორ მოიქცეოდით;
- აუცილებელია, კრიტიკული თვალით შეხედოთ თქვენს ნამუშევარს, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში თქვენი საქმიანობის დახვეწასა და უკეთესი შედეგების მიღებას.

პროექტის ფარგლებში შესრულებული აქტივობების რეფლექსიაში დიდ დახმარებას გაგიწევთ მუშაობის სხვადასხვა ფორმა, როგორც პირდაპირი, ასევე, ელექტრონული გზით:

- საკლასო გამოკითხვა, ინტერვიუირება
- ჯგუფური დისკუსიები
- პერიოდული „საინფორმაციო გამოცემა“, ერთგვარი დაიჯესტი პროგრამის მიმდინარეობის შესახებ
- ანალიტიკური კითხვარები
- პრეზენტაციები
- ონლაინდისკუსიები
- შემოქმედებითი აქტივობები

რეფლექსიის პროცესის როგორც დაგეგმვაში, ასევე, მის წარმართვაში დიდ დახმარებას გაგიწევთ შემდეგი ცხრილი (იხილეთ გვ.4), რომელიც შეგიძლიათ შეცვალოთ და გაამდიდროთ თქვენი პროექტისათვის შესაბამისი სხვა პუნქტებით. მონიშნეთ გრაფა, რომელიც თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს შეესაბამება. შეგიძლიათ, მონიშვნას დაურთოთ კომენტარიც:

პროექტის პრეზენტაციას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ის საინტერესო ფოტომასალა, რომელიც თქვენს საქმიანობას ასახავს. იმისათვის, რომ ეს ფოტომასალა საინტერესო ფორმით წარუდგინოთ საზოგადოებას, მოცემულ ლინკზე შეგიძლიათ იხილოთ, თუ როგორ უნდა შექმნათ თქვენი საქმიანობის ამსახველი სურათების ვებალბომი:
www.ict.tpdc.ge/video/95



იმისათვის, რომ თქვენი პრეზენტაცია ცოცხალი, ხალისიანი და მრავალფეროვანი გამოვიდეს, შესაძლოა მიმართოთ ანიმაციებით, მულტიპლიკაციებით გამდიდრებულ საშუალებებს. ონლაინ სერვისი powtoon.com დაგეხმარებათ, მოკლე დროში, მარტივად შექმნათ უნიკალური ფლეშ-მულტიპლიკაციური პრეზენტაციები:
www.ict.tpdc.ge/video/11

ვიდეოფაილების წარმოდგენა განსაკუთრებულ ინტერესსა და ხიბლს შესძენს თქვენს პრეზენტაციას. მოცემულ ბმულზე გაეცნობით რეკომენდაციებს, როგორ უნდა შექმნათ ვიდეოფაილები ვებპროგრამა animoto-ს დახმარებით:
www.ict.tpdc.ge/video/18

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

9

დემონსტრირება/ წარდგენა

- მზადება პრეზენტაციისათვის
- მასალის მოწესრიგება
- სპეციალისტიო აუდიტორიის მასსაზღვრა და მოწვევა
- პრეზენტაცია – შედეგების ჩვენება

შესრულებული საქმიანობის ამსახველი მასალის თავმოყრა და მისი სათანადო ანალიზი მნიშვნელოვანი საფუძველია საინტერესო პრეზენტაციისათვის. თქვენ მზად ხარ, წარუდგენოთ თქვენი პროექტის შედეგები საზოგადოებას! გააცნოთ, რა გააკეთეთ, რის მიღწევას ცდილობდით და მიიღეთ თუ არა შედეგად ის, რაც დაგეგმილი გქონდათ.

თქვენი პროექტის წარდგენა რომ მაქსიმალურად ეფექტიანი და საინტერესო იყოს, აუცილებელია, გაითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- როგორც აქტივობებისა და ღონისძიებების შესრულებისას, აქაც უნდა გადაინაწილოთ როლები;
- შერჩეულმა სპიკერებმა/მოსაუბრეებმა მაქსიმალურად საინტერესოდ და ამომწურავად, მრავალფეროვანი საშუალებებით უნდა წარმოადგინონ, რა გაკეთდა;
- შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოთ როგორც ვიზუალური, ზეპირი, სხვადასხვა შემოქმედებითი ფორმით, ასევე, შესაძლოა, მოიწვიოთ სტუმარიც;
- სასურველია, წარდგენის პროცესში მონაწილეობა მიიღოს ყველამ, რათა კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს, რომ წარადგენთ მთლიან, საკლასო პროდუქტს;
- როლების გადანაწილებისა და პრეზენტაციის დაგეგმვის შემდეგ, კიდევ ერთხელ მიუბრუნდით თქვენს პორტფოლიოს, მოაწესრიგეთ მასალა, კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი, რათა არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი სათქმელი;

- სასურველია, შეარჩიოთ ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი პროექტის მიზანს, ამით კიდევ ერთხელ გამოკვეთთ თქვენი პროექტის საჭიროებას (მაგალითად, შეიძლება პრეზენტაცია გამართოთ სკვერში, რომელიც დაასუფთავეთ);

- ისევე, როგორც ადგილი, სასურველია, პრეზენტაციის დროც შინაარსის მიხედვით შეარჩიოთ - პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა, დაუკავშიროთ რომელიმე საერთაშორისო თარიღს;

- აუცილებელია, წინასწარ დაგეგმოთ, ვინ უნდა ესწრებოდეს პროექტის წარდგენას.

- სასურველია, აუდიტორია მოიცავდეს პროექტში ჩართულ ყველა მხარეს, ისევე როგორც პროექტის საქმიანობით დაინტერესებულ ადამიანებს;

- მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ აუდიტორიას, მოამზადეთ მოსაწვევები და მოიწვიეთ სტუმრები, გააკეთეთ აფიშები და გაგზავნეთ ელექტრონული შეტყობინებები;

- სასურველია, მოამზადოთ მოკლე საინფორმაციო აღწერილობა პროექტის შესახებ და მოიწვიოთ მედიის წარმომადგენლები, რათა გაშუქდეს თქვენი საქმიანობა;

- თავად პრეზენტაცია არ უნდა იყოს გრძელი, დატვირთული და მოსაწყენი.

თქვენი პრეზენტაცია იქნება უფრო საინტერესო და ეფექტური, თუ შესრულებული საქმიანობის წარდგენისას ელექტრონულ რესურსებს მიმართავთ.

პრეზენტაციების მომზადებისას ძალიან ხშირად მიმართავენ Microsoft Office PowerPoint-ს პროგრამას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საპრეზენტაციო საშუალებაა. მოცემულ ლინკზე შეგიძლიათ იხილოთ დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა მომამზადოთ პრეზენტაცია ამ პროგრამის დახმარებით:

www.ict.tpdc.ge/video/12

პროექტის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენოთ პროექტის შედეგად შექმნილი მასალა:

ანგარიში, ფილმი, გამოფენა, ლექცია, ფოტო, პორტფოლიო და სხვ.

გარე შეფასებისთვის პროექტში ჩართულ პირებსა და ორგანიზაციებს უნდა გააცნოთ არა მხოლოდ პროექტის შედეგები, არამედ პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის ამსახველი დოკუმენტებიც, სადაც ჩანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინეთ. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის, ან უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე.

როგორც უკვე გაეცანით, პროექტის ყველა ეტაპზე შექმნილი მასალა უნდა გაერთიანდეს პორტფოლიოში. სასურველია პორტფოლიოში შეკრებილი მასალის შეფასებაც.

ძალზე მნიშვნელოვანია გარე შეფასება მაშინ, როდესაც პროექტის მიღწეულ შედეგებსა და თქვენს მუშაობას აფასებენ პროექტით მოსარგებლეები და ყველა დაინტერესებული პირი. ამგვარი შეფასებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. „ანონიმური ყუთი“. მასში ბენეფიციარებმა და პროექტით დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება ჩაყარონ პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებები, რჩევები, რეკომენდაციები, სამომავლო საქმიანობების ჩამონათვალი პროექტის მდგრადობის შესანარჩუნებლად და სხვ.

შეფასება დაგეხმარებათ საკუთარი და კლასის მიღწევებისა და შეცდომების გააზრებაში, მომავალი პროექტების უკეთ განხორციელებაში.

10

შეფასება

- რა მნიშვნელობა აქვს პროექტის შეფასებას
- ინსტრუქციები თვითშეფასებისთვის

საკლასო პროექტზე მუშაობის ბოლო ეტაპია შეფასება. პროექტის შეფასების დროს ხდება იმის გააზრება, თუ რა ისწავლეთ პროექტზე მუშაობის პროცესში, რა გამოცდილება მიიღეთ და რა უნარჩვევები გამოგიმუშავდათ. რამდენად მიაღწიეთ დასახულ მიზანს. როგორ აფასებენ თქვენ მიერ გაწეულ საქმიანობასა და მიღწეულ შედეგს/შედეგებს ბენეფიციარები, პროექტით დაინტერესებული პირები.

გაკვეთილზე, ძირითადად, ფასდება თეორიული ცოდნა, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ პროექტის შეფასებაზე, ამ დროს ხდება არა მარტო თეორიული ცოდნის შეფასება, არამედ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებისაც. ფასდება, თუ რა ცოდნა მიიღეთ, რომელი უნარ-ჩვევები განგივითარდათ, რა დამოკიდებულება გაგიჩნდათ გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით.

პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სასურველია, მიმართოთ თვითშეფასებას.

თვითშეფასების დროს ფასდება საკუთარი და ჯგუფის წევრების საქმიანობა, რა ცოდნა და გამოცდილება მიიღეთ პროექტზე მუშაობის პროცესში.

ქვემოთ მოცემული კითხვარი დაგეხმარებათ, გაანალიზოთ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც პროექტზე მუშაობამ შეგძინათ:

1. რა ისწავლეთ პირადად თქვენ და რა ისწავლა კლასმა, როგორც ერთმა გუნდმა, პროექტზე მუშაობისას?
2. რა უნარ-ჩვევების გამომუშავებაში შეგიწყოთ ხელი ამ პროექტზე მუშაობამ?
3. რა დადებითი მხარე აქვს ერთ გუნდად მუშაობას?
4. რა უარყოფითი მხარე აქვს ერთ გუნდად მუშაობას?
5. რა იყო თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა ამ პროექტში?
6. რა იყო კლასის, როგორც ერთი გუნდის, ყველაზე დიდი მიღწევა ამ პროექტში?
7. რა გასწავლათ ამ პროექტმა?
8. რას შეცვლიდით, თავიდან რომ იწყებდეთ ამ პროექტზე მუშაობას?

გამოყენებული ლიტერატურა

„ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტებისათვის“

• ბესელია ნ., ბოკერია ნ., კორძაძე მ. „როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX კლასისათვის, თბილისი, 2011
• გვარამაძე ნ., მიწიშვილი ნ. „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო X კლასისათვის, თბილისი, 2011
• გოგლიჩიძე ა., ბიბილეიშვილი მ., არგანაშვილი ა. „მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო X კლასისათვის, თბილისი, 2011
• ერემაშვილი ნ., ახვლედიანი ლ., რუხაძე თ., ლოსაბერიძე დ. „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX კლასისათვის, თბილისი, 2011
• www.civics.ge
• www.facebook.com/Tbilisitrees?fref=ts
• www.generationon.org/
• www.greenalt.org
• www.greens.ge
• www.initiatives.ge
• www.ict.tpdc.ge/video/23?ch=122
• www.ict.tpdc.ge/video/58
• www.ict.tpdc.ge/video/12
• www.ict.tpdc.ge/video/95
• www.ict.tpdc.ge/video/11
• www.ict.tpdc.ge/video/18
• www.slideshare.net/niniax/ss-32095599
• www.moe.gov.ge

ინსტრუქციები სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტებისათვის